ეროვნული ბიბლიოთეკა

F-171
1985

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1985

## № 4

აპრილი АПРЕЛЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИИ

ТБИЛИСИ
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

E-5300

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება

## მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების დარგში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესასრულებლად წყალტუბოს ზონის და საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილებების და მოზრდილთა სკოლების მუშაობის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა წყალტუბოს ზონისა და საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეების ამხ. ამხ. მ. ინასარიძისა და ნ. ჭანტურიას ანგარიში, კოლეგია აღნიშნავს, რომ აღნიშნულ რეგიონებში გარკვეული ღონისძიებები ტარდება მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების დარგში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განსახორციელებლად. გატარდა მოზრდილთა სკოლების რეორგანიზაცია-რაციონალიზაცია. შეიქმნა დაუსწრებელი სკოლები. თითქმის ყველა სოფელში გაიხსნა ამ სკოლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები და ჯგუფები. მე-11 ხუთწლედის ოთხ წელიწადში წყალტუბოში გეგმიური 2980 მოსწავლის ნაცვლად სწავლაში ჩაება 3150 (107,5%), საგარეჯოში კი მე-10 ხუთწლედში მოსწავლეთა რიცხვი 135-დან 940-მდე გაიზარდა, ხოლო მე-11 ხუთწლედის ოთხ წელიწადში სწავლაში ჩაბმული იყო 1996 ახალგაზრდა. ამ პერიოდში საშუალო განათლება მიიღო წყალტუბოში 930-მა, საგარეჯოში 680-მა კაცმა. იკლო სკოლებიდან მოსწავლეთა გантესვამ, საგრძნობლად მცირდება სწავლაში ჩასაბმელი ახალგაზრდების რაოდენობა, ბევრ სოფელში, საწარმოსა და ორგანიზაციაში მათი რიცხვი ფაქტიურად ამოიწურა.

ერთგვარად ამაღლდა სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა ცოდნის დონე. პედაგოგთა ნაწილმა მუშაობა გარდაქმნა სასკოლო რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად. ახლა ისინი მეტ ყურადღებას უთმობენ მეცადინეობისათვის მზადებას, სწავლების პრაქტიკასთან, მოსწავლეთა საქმიანობასთან დაკავშირებას. თეორიული მასალის შესწავლისას იყენებენ თვალსაჩინოებას, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს. ცალკეული საგნების სწავლებაში დადებით შედეგებს აღწევენ მასწავლებლები ლ. გაბუნია, დ. ჩხენკელი, უ. კვერნაძე, ვ. აფრიდონიძე, ლ. სულამანიძე, ნ. ქარუსანიძე (წყალტუბო); გ. მჭედლიშვილი, მ. ქისტაური, მ. გზირიშვილი, გ. მახოვაია, მ. თევდორაძე, კ. აბდულაევი, ს. ხაჩატურიანი, ა. მამედოვი, თ. კობიაშვილი, გ. პავლიაშვილი, გ. ცანდიშვილი (საგარეჯო) და სხვები.

მიუხედავად აღნიშნულისა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის მოთხოვნები ნელა ხორციელდება მთელ რიგ სასწავლო-საკონ-



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულტაციო პუნქტებსა და ჯგუფებში. სათანადო სიმაღლეზე არ დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა წყალტუბოს დაუსწრებელი სკოლის მაღლაკის, ქვილიშორის, გუმბრის, ავტოსატრანსპორტო გაერთიანების, საგარეჯოს დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის უდაბნოსა და პატარძეულის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებსა და ჯგუფებში, სადღეისო მოთხოვნათა დონეზე ვერ მუშაობენ გეგუთის საღამოს სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნ. ჭეიშვილი, საგარეჯოს დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის უდაბნოსა და პატარძეულის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების ისტორიის, ფიზიკის, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: რ. ჯიქურაშვილი, ი. უნაფქოშვილი, ვ. სოსნინი და სხვები.

მოსწავლეთა ნაწილი ვერ ამჟღავნებს საფუძვლიან ცოდნას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ისტორიაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ბევრს უჭირს გააზრებული, დამოუკიდებელი მსჯელობა, არ არის დაუფლებული კითხვის ტექნიკას, მეტყველებაში და წერაში უშვებს შეცდომებს. მოსწავლეთა სუსტი ცოდნის მიზეზია მასწავლებელთა მუშაობის დაბალი ხარისხი, ძირითადი სასწავლო დატვირთვის საშინაო დავალებაზე გადატანა, ლიბერალიზმი ცოდნის შეფასებაში. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების პროცენტული მაჩვენებლები ზოგჯერ არ შეესაბამება მათ რეალურ ცოდნას.

საკმაო ღონისძიებები არ ტარდება სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის, მუშაობაში ახალი ფორმებისა და რეჟიმის დანერგვისათვის, მეცადინეობაზე მოსწავლეთა მაქსიმალური დასწრების უზრუნველყოფისათვის.

შემოწმებისას წყალტუბოს ზონის გეგუთის საღამოს სკოლაში 82 მოსწავლიდან მეცადინეობაზე 50 გამოცხადდა (60%), წყალტუბოს დაუსწრებელი სკოლის ცენტრალურ პუნქტში 65-დან 52 (76,9%), საგარეჯოს დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის ცენტრალურ პუნქტში 69-დან 38 (55%), ამ სკოლის ბადიაურის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში 54-დან 32 (59,2%), ლამბალოს პუნქტში 57-დან 33 (57%), ანალოგიური მდგომარეობა იყო სხვაგანაც.

არასაკმაო მუშაობის შედეგად წყალტუბოს ზონის სკოლებს მე-10 ხუთწლედის ოთხ წელიწადში 250 მოსწავლე ჩამოსცილდა, ამავე პერიოდში მე-11 კლასი დროულად ვერ დაამთავრა ამ კლასების მოსწავლეთა 17%-მა, მე-8 კლასი კი 83 მოსწავლიდან დროულად ვერ დაამთავრა 17-მა.

სკოლების სამუშაო გეგმებში ზოგჯერ არაა გათვალისწინებული ძირითადი, აქტუალური საკითხები. გეგუთის საღამოს სკოლაში კი გეგმით გათვალისწინებული საკითხების ნაწილი შეუსრულებელია. მოისუსტებს შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა: დაუსწრებელი

სკოლების მეთოდისტები ხშირად არ ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, კონსულტაციებზე, ადგილებზე არ ტოვებენ არსებული მდგომარეობის ამსახველ ჩანაწერებს. არ ხდება მოწინავე მასწავლებლების გამოცდილების განზოგადება.

განათლების განყოფილებები და სკოლები ზოგიერთ სამეურნეო ორგანიზაციებთან ვერ ამყარებენ საქმიან ურთიერთობას. სკოლებს არ ეწევა საშეფო დახმარება, საწარმოებში არაა დანერგილი დამრიგებლობა, არ ხდება მოწინავე მოსწავლეთა სტიმულირება, ზოგან არ ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი შეღავათები, საკმაოდ არ ზრუნავენ მომუშავე ახალგაზრდების ზოგადი განათლების ამაღლების საკითხებზე საქართველოს სსრ განათლების და დარგობრივი სამინისტროების ერთობლივი ბრძანებების შესასრულებლად. ამ საქმეში სათანადოდ ვერ იყენებენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებას. საკმაოდ არ გავრცელდა მოზრდილთა სწავლების საქმეში ლიტველთა გამოცდილება, რომელიც მოიწონა სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ და რის შესახებაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მასალები გაუგზავნა ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს და განათლების განყოფილებებს.

სადღეისო მოთხოვნათა დონეზე არაა დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა; კლასის ხელმძღვანელთა საქმიანობა ზოგან ფორმალურ ხასიათს ატარებს, რეგულარულად არ ეწყობა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი, სუსტია მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების როლი.

განათლების განყოფილებები ზოგჯერ ღრმად არ აანალიზებენ მოზრდილთა სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობას და არ ითვალისწინებენ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1976 წლის 17 აგვისტოს ცირკულარული წერილის მოთხოვნებს სკოლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების შესახებ.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

ქ. წყალტუბოსა და საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. მ. ინასარიძე, ნ. ჭანტურია) უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითად მიმართულებებში მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის დარგში დასახული ამოცანების განუხრელი შესრულება.

— უფრო მეტად გამოიყენონ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარება საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გასაზრდელად, რათა ყველგან შეიქმნას მომუშავე ახალგაზრდების მიერ შრომასთან სწავლის შეთავსებისათვის საყოველთაო ზრუნვის ატმოსფერო. მიაღწიონ ამ საქმეში საორგანიზაციო კომიტეტების მუშაობის გააქტიურებას, უფრო ფართოდ დანერგონ ლიტველთა გამოცდილება, სადაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა

ორგანოების უშუალო ჩარევის შედეგად ყველა რგოლის სამეურნეო ხელმძღვანელი ფაქტიურად ზრუნავს მომუშავე ახალგაზრდების სწავლებისათვის, აგრეთვე დანერგონ საშეფო დახმარება სკოლებისადმი და დამრიგებლობა მოსწავლეებისადმი, მათი მატერიალური წახალისება და მორალური სტიმულირება.

— გააძლიერონ მომთხოვნელობა, კონტროლი და დახმარება მოზრდილთა სკოლების დირექტორებისა და მასწავლებლებისადმი, გააუმჯობესონ მეთოდგაერთიანებათა მუშაობა. პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობა წარმართონ ისე, რომ ამაღლდეს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობა და სწავლების ხარისხი, მოსწავლეთა ცოდნის დონე, რომ მოსწავლემ. ახალი მასალა, ძირითადად, გაკვეთილზე და კონსულტაციაზე აითვისოს. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ მიერ სასწავლო პროცესში წიგნების, სახელმძღვანელოების კითხვას. ყველგან შექმნან სწავლისათვის ნორმალური პირობები, უზრუნველყონ სკოლები და მათი ფილიალები თვალსაჩინო მასალებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით, მოამარაგონ სახელმძღვანელოებით, დანერგონ სწავლების უფრო მოსახერხებელი ფორმები.

— გადაჭრით გააძლიერონ მუშაობა მეცადინეობებზე მოსწავლეთა მუდმივი დასწრების უზრუნველსაყოფად, მეტი ყურადღება მიაქციონ საკონტროლო წერითი სამუშაოების ჩატარებას, ჩათვლების მიღებას. არ დაუშვან ლიბერალიზმისა და ფორმალიზმის შემთხვევები, სკოლის, მოსწავლეთა და მასწავლებლების საქმიანობა შეაფასონ ობიექტურად ამ საკითხზე არსებული კრიტერიუმების შესაბამისად.

— კვლავაც გააგრძელონ აქტიური მუშაობა იმისათვის, რომ ზუსტად აღრიცხონ და მომავალი სასწავლო წლისათვის, ძირითადად, სწავლებაში ჩააბან 16-29 წლის ასაკის ყველა მომუშავე ახალგაზრდა, ამასთან ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარონ 30 წელზე ზევით (45 წლამდე) ასაკის მოქალაქეებთან მათი სწავლაში ჩასაბმელად.

— მკაცრად დაიცვან საშტატო-საფინანსო დისციპლინა და არ დაუშვან დარღვევები ამ დარგში.

— სასკოლო დოკუმენტების წარმოებაში არ დაუშვან სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1974 წლის 27 დეკემბრის № 157 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 21 იანვრის № 1/6-3 ცირკულარული წერილის მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

— გადაჭრით გააძლიერონ მოზრდილთა სკოლებში აღმზრდელობითი მუშაობა, ხშირად ჩაატარონ კულტმასობრივი ღონისძიებები, გაააქტიურონ მოსწავლეთა თვითმმართველობითი ორგანიზაციების საქმიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს გადაწყვეტილება გაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1985 წლის 14 მარტის დადგენილება

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილების „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების, საზოგადოებრივ-სასარგებლო მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ“ შესასრულებლად, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, აღსაზრდელთა შრომითი აღზრდის, პროფესიული ორიენტაციისა და შრომის შეგნებული მოთხოვნილების ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერება ჩატარდეს 1985 წლის 1 აპრილიდან 1985 წლის 30 ნოემბრამდე.

2. დამტკიცდეს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

მ. კ. კობახიძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)

გ. ბ. ვარდოსანიძე — განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე)

პ. მ. თუთბერიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი

ეროვნული

ა. ს. ჟორჟოლაძე — პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის განყოფილების გამგე

ა. გ. ბაყაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის სკოლა-ინტერნატების განყოფილების გამგე

ა. ბ. შერვაშიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი

ჯ. ვ. დევდარიანი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის შრომითი სწავლების კაბინეტის გამგე

შ. ზ. მანგიაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის შრომითი სწავლების განყოფილების გამგე

რ. ა. ხუხაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

ვ. მ. ზვიადაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

გ. პ. ჯავახიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი (საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი)

3. დამტკიცდეს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების დებულება (დანართი 1).

4. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტმა:

ა) ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს ადგილობრივ საორგანიზაციო კომისიებს, დროულად ჩაატაროს საერთო ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების დათვალიერებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები;

ბ) დააჯამოს ადგილებიდან წარმოდგენილი მასალები, შედეგები წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიასა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს 1985 წლის 30 ნოემბრამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) წარდგენილი განაცხადების შესაბამისად ზემოაღნიშნული ობიექტები დროულად დააკმაყოფილოს სათანადო ჩარხებით და საჭირო ხელსაწყო-იარაღებით.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების (სადაც ზემოაღნიშნული ობიექტები არსებობს) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ და უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების დათვალიერებისათვის შექმნან ადგილზე რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომისიები;

ბ) სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საბაზო საწარმოების (ორგანიზაციების) უშუალო მონაწილეობით მიაღწიონ, ყველა ზოგადსაგანმანთლებლო სკოლა-ინტერნატში, საბავშვო სახლსა და სპეცსკოლა-ინტერნატში სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების შექმნას, ხოლო არსებული კაბინეტები შეავსონ ჩარხებით, ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით;

გ) დათვალიერების შედეგები წარმოუდგინონ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს 1985 წლის 1 ნოემბრამდე.

7. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) პერიოდულად გააშუქოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინეტრნატების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების დათვალიერების მიმდინარეობა.

8. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. ჰ. თუთბერიძე).

**კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

# რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ

სასწავლო სახელოსნოების დათვალიერებას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო

## I. დათვალიერების მიზანი და ამოცანები

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების საზოგადოებრივმა დათვალიერებამ ხელი უნდა შეუწყოს სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების მოწყობასა და სრულყოფას, რათა სკკპ ცკ-ის და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილების „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მისი საზოგადოებრივ-სასარგებლო მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ“ შესაბამისად კეთილმოწყობილ სასწავლო სახელოსნოებსა და შრომის კაბინეტებში I-IV კლასების აღსაზრდელები ითვისებდნენ სხვადასხვა მასალის ხელით დამუშავების მარტივ ხერხებს, სოფლის მეურნეობის მცენარეთა გამოყვანას, ეცნობოდნენ მუშურ პროფესიებს, V-VII კლასების აღსაზრდელები კი, იღებდნენ უფრო ღრმა პოლიტექნიკური ხასიათის შრომითს მომზადებას, სახალხო მეურნეობის დარგებზე წარმოდგენას, ხოლო VIII კლასიდან დაწყებული (ცხრაკლასდამთავრებულები) —სახალხო მეურნეობის კადრების მოთხოვნილების მიხედვით გადიოდნენ მომზადებას მასიურ პროფესიებში, ისე რომ შრომითმა აღზრდამ და პროფესიულმა ორიენტაციამ მოსწავლეები მოამზადოს პროფესიის დაუფლებისა და სწავლის გასაგრძელებლად, სასწავლო დაწესებულების შეგნებული შერჩევისათვის.

დათვალიერებამ აგრეთვე ხელი უნდა შეუწყოს, სასწავლო სახელოსნოებისა და შრომის კაბინეტებში უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენის პირობების შემდგომ გაუმჯობესებას, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების მიმაგრებას საბაზო საწარმოებზე, ორგანიზაციებზე და მოსწავლეთა შრომითი მომზადების ორგანიზაციაზე მათ პასუხისმგებლობას. სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების გამოყოფას, კეთილმოწყობასა და სწავლებაში მათ გამოყენებას.

ეროვნული

## II. დათვალიერების პირობები

დათვალიერების ჩატარების პერიოდში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 ერთობლივი დადგენილების „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებრივ-სასარგებლო მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის დადგენილების „მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ და „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საწარმოს (ორგანიზაციის) დებულების“ შესაბამისად საბაზო საწარმოები აქტიურ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ საერთო ტიპის ზოგდსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების მიზნით, საზოგადოებრივ-სასარგებლო მწარმოებლურ შრომაში, სასწავლო საამქროებში, სასკოლო სახელოსნოებსა ან სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში, დამხმარე მეურნეობებსა და საწარმოო ბრიგადებში აღსაზრდელთა ჩასაბმელად. აგრეთვე მათივე დახმარებით უზრუნველყოფილი უნდა იქნას საერთო ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში არსებულ სასწავლო სახელოსნოებსა და მომსახურებითი შრომის კაბინეტებში მოსწავლეთა ინდივიდუალური და საერთო სარგებლობის სამუშაო ადგილების მოწყობა, სასწავლო მოწყობილობათა ტიპობრივი ნუსხის მიხედვით სასწავლო სახელოსნოებისა და საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტების სასწავლო-თვალსაჩინოებითა და ხელსაწყო-იარაღებით შევსება, კეთილმოწყობა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება.

## III. დათვალიერების მონაწილენი

სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატი და საბავშვო სახლი, მათთვის დამტკიცებული შრომითი სწავლების პროფილების მიხედვით.

## IV. დათვალიერების ჩატარების წესი და ვადები

დათვალიერების ჩასატარებლად რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში იქმნება საორგანიზაციო კომისია განათლების განყოფილების გამგის (თავმჯდომარე), სკოლა-ინტერნატის და საბავშვო სახლის, დირექტორის (თავმჯდომარის მოადგილე) და სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო სახლის პარტიული, პროფკავშირული. კომკავშირული ორგანიზაციების, საბაზო საწარმოსა და პროფკავშირის რაიკომის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

კომისია იხილავს დათვალიერების შედეგებს და შეჯამებულ მასალებს — დანართი 2 (თან ერთვის) შესაბამისად უდგენს დათვალიერების რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს 1985 წლის 1 ნოემბრამდე.

## V. დათვალიერების ხელმძღვანელობა

დათვალიერების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც აჯამებს წარმოდგენილ მასალებს და ადგილებზე (შერჩევით) აგზავნის სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშაკებს, რომლებიც დასაჯილდოებელი ობიექტების სასწავლო-სახელოსნოების მდგომარეობას შეისწავლიან და 1985 წლის დეკემბერში მოამზადებენ მასალებს დაჯილდოებისათვის.

## VI. დათვალიერებაში გამარჯვებულთა დაჯილდოება

ადგილებიდან წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, დათვალიერებაში გამარჯვებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები, აგრეთვე საბავშვო სახლები ჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის I, II და III ხარისხის დიპლომებით, ხოლო პირველ ადგილზე გამოსული ზოგადსაგანმანათლებლო (საშუალო და რვაწლიანი) სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების (სულ 4 პირველი ადგილი) შრომის მასწავლებლები ჯილდოვდებიან საპატიო სიგელებითა და ფულადი პრემიით.

**დანართი 2**

## მაჩვენებლები

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების დათვალიერების შედეგების შეჯამებისა და მათ შორის საუკეთესოს შერჩევისათვის:

1. სკოლა-ინტერნატის (საბავშვო სახლის) სრული დასახელება.
2. დირექტორი (გვარი, სახელი, მამის სახელი).

ა) ადგილკომის თავმჯდომარე (გვარი, სახელი, მამის სახელი);

ბ) შრომის მასწავლებელი, ოსტატი (გვარი, სახელი, მამის სახელი, ცენზი);

გ) საბაზო საწარმოს სრული დასახელება (დირექტორის გვარი, სახელი, მამის სახელი).

3. სადგომის მდგომარეობა:

ა) ცალკე მდგომარეობისა და სასკოლო შენობაში სახელოსნოს მოთავსების რაციონალურობა: ფართობი, კუბატურა, ჭერის სიმაღლე, კედლების, იატაკის, ფანჯრებისა და კარების მდგომარეობა;

ბ) სასწავლო სახელოსნოები: საზეინკლო, სადურგლო, კომბინირებული;

გ) დამხმარე სათავსოები: საიარაღო, მასალების შესანახი;

დ) სათავსოში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვა: გათბობა, განათება, დასაშვები ხმაურის დაცვა, ესთეტიკური მდგომარეობა.

4. როგორ ემზადება სკოლის სახელოსნო ახალი სასწავლო წლისათვის, დაცულია თუ არა საკანონმდებლო მოთხოვნები.

5. ინდივიდუალური და საერთო სარგებლობის სამუშაო ადგილების რაოდენობა, რამდენად შეესაბამება იგი კლასებში მოსწავლეთა რაოდენობას.

6. როგორაა იგი უზრუნველყოფილი მანქანა-დანადგარებით, ჩარხებით, ხელსაწყო-იარაღებით, თვალსაჩინო და სამუშაო მასალებით.

7. სახელოსნოს მოწყობა. კომპლექტურობა:

ა) ნუსხის შესაბამისად სასწავლო-მატერიალური ბაზის სრულყოფა;

ბ) მასწავლებლის სამუშაო ადგილის მოწყობა;

გ) მოსწავლეთა სამუშაო ადგილების მოწყობა ნორმების შესაბამისად;

დ) ნორმების შესაბამისად ჩარხების, დაზგებისა და გირაგების განლაგება და საიმედოდ დამაგრება.

8. უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის ნორმების მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა:

ა) არის თუ არა დაყენებული დამცავი ბადეები;

ბ) არის თუ არა დამიწებული დანადგარები;

გ) არის თუ არა დაცული ელექტრო და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები;

დ) აღსაზრდელები არიან თუ არა უზრუნველყოფილი: სპეცტანსაცმლით, ხელთათმანებით, პირველი სამედიცინო დახმარებით;

ე) არის თუ არა გამაფრთხილებელი და მიმთითებელი პლაკატები;

ვ) არის თუ არა მოწყობილი სამფაზა დენის ელექტროგაყვანილობა (მთავარი პულტი შესაბამის ადგილზე დამონტაჟებული) და დაცულია თუ არა ჩამრთველ-ამომრთველების უსაფრთხოება;

ზ) როგორ სრულდება მოსწავლეებისადმი უსაფრთხოების ტექნიკაზე ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალის წარმოება.

9. ხდება თუ არა სწავლების ტექნიკური საშუალებების მაქსიმალური გამოყენება.

10. არის თუ არა სახელოსნო მზად მწარმოებლური შრომისათვის.

11. როგორ არის სახელოსნო უზრუნველყოფილი დიდაქტიკური მასალებითა და მატერიალურ-ტექნიკური ლიტერატურით.

12. რა სახელოსნო და შრომის კაბინეტი მოეწყო დათვალიერების პერიოდში.

13. შეფების დასახელება, რომელთა მეშვეობითაც მოეწყო სახელოსნო (რამდენი თანხა დაიხარჯა, რა ვაკეთდა, აიგო ახალი, გაფართოვდა და კეთილმოეწყო ძველი).

14. სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთითა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით უზრუნველყოფის მდგომარეობა (ნაკვეთის ფართობი, როგორ არის იგი გამოყენებული სასწავლო და სამეურნეო მიზნებისათვის).

15. საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მოსწავლეთა მონაწილეობის ანგარიში — დათვალიერების პერიოდში IV—VIII კლასების რამდენი მოსწავლე ღებულობდა მონაწილეობას, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, რომელ ობიექტზე, რას აკეთებდა, როგორია შრომის შედეგი.

16. როგორ არის გამოყენებული სახელოსნოები და კაბინეტები სწავლების პროცესში — სწავლის პროცესის მოკლე დახასიათება, გაკვეთილების ხარისხი, მათი თეორიული, პედაგოგიური და აღმზრდელობითი დონე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 14 მარტის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 167

## 1984 წელს რესპუბლიკაში ადმინისტრაციის ინიციატივით სახალხო განათლების მუშაკთა დათხოვნის კანონიერების შემოწმების შედეგების შესახებ

სახალხო განათლების დაწესებულებებში 1984 წელს 1983 წელთან შედარებით, თითქმის განახევრდა რაოდენობა ადმინისტრაციის ინიციატივით დათხოვნილი იმ მუშაკებისა, რომლებმაც სამუშაოდან გათავისუფლება არასწორად მიიჩნიეს და ადმინისტრაციის განკარგულების გაუქმების თაობაზე სასამართლო ორგანოებს მიმართეს.

1984 წელს დათხოვნილი 13 მუშაკიდან · სასამართლო ორგანოებმა 7 მუშაკი, ანუ 53,8% თავის უფლებებში აღადგინეს.

სასამართლოებიდან მიღებული მასალებით დასტურდება, რომ მუშაკთა დათხოვნის დროს კვლავ ადგილი აქვს ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევებს, რის გამოც სასამრთლო ორგანოები, ზოგჯერ, იძულებული ხდებიან აღადგინონ არსებითად სწორად დათხოვნილი პირები.

შეიმჩნევა, რომ განათლების ორგანოები და პროფკავშირული ორგანიზაციები არღვევენ კანონის მოთხოვნის ისეთ ელემენტარულ წესებს, რომელთა დაცვის შესახებ მათ არაერთხელ მიეთითათ განათლების სამინისტროს ბრძანებებსა და ცირკულარებში.

ერთი და იგივე დისციპლინური ვადაგასული სასჯელის ხელმეორედ დადებისა და ახსნა-განმარტების მოთხოვნის გარეშე მუშაკის დათხოვნის გამო ქ. სოხუმის სახალხო სასამართლომ სამუშაოზე აღადგინა სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. შარია და აუნაზღაურა განაცდური დროის ხელფასი 360 მანეთი.

ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ დაშვებული უხეში შეცდომებისათვის ქ. სოხუმის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს მ. ე. მალიშავას მიუთითა, ხოლო განყოფილების ინსპექტორი შ. ა. კილაძე სამუშაოდან დაითხოვა.

ახალქალაქის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ა. გაბრიელიანმა პენსიაზე გასვლის გამო ილ. ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელ მ. ქართველიშვილს კვირეული დატვირთვა 3 საათამდე შეუმცირა, რაც ფაქტიურად სამუშაოდან მის დათხოვნას ნიშნავდა.

სასამართლომ მ. ქართველიშვილი თავის უფლებებში აღადინა და 3 თვის ხელფასის განსხვავების 610 მანეთისა და 27 კაპიკის ანაზღაურება განათლების განყოფილებას დააკისრა.

საჩხერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ სოფელ ქორეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. ლაცაბიძე სამუშაოდან დაითხოვა პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმების გარეშე, რის გამოც სასამართლომ იგი თავის უფლებებში აღადგინა.

იმის გამო, რომ კოჯრის სკოლა-ინტერნატის ღამის ძიძის კ. კობიძის სამუშაოდან დათხოვნის თანხმობის მიმცემი პროფკავშირის კომიტეტის სხდომაზე ქვორუმი არ ესწრებოდა, სასამართლომ უკანონოდ ჩათვალა პროფკავშირის გადაწყვეტილება და მომჩივანი სამუშაოზე აღადგინა.

თბილისის 95-ე ბაგა-ბაღის სამნეო ნაწილის გამგე მ. მემარნიშვილი ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მიერ (ამხ. რ. გურგენიძე) სამუშაოდან დათხოვნილი იქნა შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევით — მის დათხოვნაზე პროფკავშირის კომიტეტმა განათლების განყოფილებას თანხმობა არ მისცა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პროფკავშირის რაიკომისა და განათლების განყოფილების მუშაკებმა პროფკომის წევრები კაბინეტში ცალ-ცალკე გამოიძახეს და ზემოქმედების გამოყენებით თანხმობაზე ხელი მოაწერინეს.

ამავე დროს სასამართლომ თ. მემარნიშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებები, მათ შორის სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენა, დადასტურებულად არ ჩათვალა, რის შედეგადაც თ. მემარნიშვილი აღდგენილ იქნა სამუშაოზე და მას აუნაზღაურდა 3 თვის განაცდური დროის ხელფასი 255 მანეთის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება დაამტკიცა საკასაციო ინსტანციამაც.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ: ა) სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელ ვ. კაშიას უკანონოდ დათხოვნისათვის აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ ქ. სოხუმის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მ. მალიშავას მიუთითა, ხოლო განყოფილების ინსპექტორი შ. კილაძე სამუშაოდან გაათავისუფლა; ბ) ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე რ. გურგენიძე განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

2. აღინიშნოს, რომ ახალქალაქის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ა. გაბრიელიანმა გარდა იმისა, რომ სამუშაოდან უკანონოდ დაითხოვა ილ. ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. ქართველიშვილი, მან მატერიალური ზარალიც მიაყენა სახალხო განათლების განყოფილების ბიუჯეტს, საიდანაც განაცდური დროის ხელფასის ასანაზღაურებლად 610 მანეთი გაიცა.

გაფრთხილებულ იქნას ამხ. ა. გაბრიელიანი რომ მომავალში განათლების განყოფილების მიერ მსგავსი მოქმედების შემთხვევაში მიყენებუ-

f-5300



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ზარალის ანაზღაურება პირადად მას დაეკისრება.

3. ადმინისტრაციის ინიციატივით სახალხო განათლების მუშაკთა დათხოვნისას პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ დაშვებული დარღვევების შესახებ ეცნობოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს და ეთხოვოს მას მისცეს პროფკავშირულ ორგანიზაციებს შესაბამისი მითითებები მომავალში მსგავს დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

4. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ოთხჯერ დასჭირდა ქ. ბათუმის განათლების განყოფილებისათვის (გამგე ზ. კომახიძე) შეხსენება ვ. კობახიძისა და ფ. ნადარეიშვილის სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის მიზეზების შესახებ ცნობების გამოგზავნის თაობაზე.

აღნიშნულის შესახებ ეცნობოს აჭარის ასსრ განათლების მინისტრს ამხ. ვ. წულუკიძეს.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახლხო განათლების სამმართველოს უფროსმა ყურადღებით გააფორმონ ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნის ყველა დოკუმენტი და არ დაუშვან ამ საქმესთან დაკავშირებით დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

6. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) და მთავარმა იურისკონსულტმა (ამხ. ვ. კეშელავა) მკაცრი კონტროლი დააწესონ ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკთა განთავისუფლების დოკუმენტაციის სწორად გაფორმების საქმეზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება.

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

## ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

**О результатах проверки законности освобождения с работы работников народного образования республики по инициативе администрации в 1984 году**

**14 марта 1985 года, № 167**

В 1984 году по сравнению с 1983 годом в учреждениях народного образования почти наполовину сократилось число работников, освобожденных с работы по инициативе администрации, которые считая свое освобождение неправильным обратились в судебные органы за аннулированием решения администрации.

Из 13 работников, освобожденных в 1984 году, судебными органами восстановлены в своих правах 7, т. е. 53,8%.

Полученные от судебных органов материалы подтверждают, что при освобождении работников администрациями учреждений, по-прежнему имеют место случаи грубого норушения трудового законодательства, ввиду чего судебные органы порой вынуждены восстанавливать в своих правах лица, освобождение которых имело законные основания.

Следует отметить, что органы народного образования и профсоюзные организации нарушают такие элементарные требования закона, о соблюдении которых им неоднократно было указано в приказах и циркулярных письмах Министерства просвещения.

За повторное наложение на работника, с просроченным дисциплинарным взысканием, взыскания и освобождение его без обьяснительной записки народный суд г. Сухуми восстановил на работу учителя средней школы № 2 г. Сухуми В. Шария и возместил ему зарплату в размере 360 рублей.

В связи с этим, Министерство просвещения Абхазской АССР указало заведующему отделом народного образования г. Сухуми М. Малишава за допущенные грубые нарушения, а инспектора Ш. Киладзе освободило от занимаемой должности.

Учителю средней школы № 3 им. И. Чавчавадзе М. Картвелишвили, перешедшему на пенсию, заведующая Ахалкалакским районным отделом народного образования А. Габриэлян

сократила его недельню нагрузку до 3-х часов, что фактически означало освобождение учителя с работы.

Суд восстановил М. Картвелишвили в своих правах и возмещение разницы за 3 месяца 610 рублей и 27 копеек возложил на отдел народного образования.

Сачхерский районный отдел народного образования без согласия профкома освободил с работы учителя средней школы села Корети М. Лацабидзе, который восстановлен в своих правах.

Ввиду отсутствия кворума на заседани профкома, состоявшегося по вопросу освобождения с работы ночной няни Коджорской школы-интерната К. Кобидзе, суд решение профкома счел незаконным и восстановил истца на работу.

Ленинский районный отдел народного образования г. Тбилиси (тов. Р. Гургенидзе), не получив согласия профкома на освобождение с работы заведующего хозяйственной частью детских ясель-сада № 95 г. Тбилиси М. Мемарнишвили, освободил его с работы, тем самым грубо нарушил трудовое законодательство.

В результате индивидуального воздействия на каждого из членов профкома работниками райкома профкома и отдела народного образования, было получено незаконное согласие на освобождение М. Мемарнишвили.

Вместе с тем, обвинения, предъявленные М. Мемарнишвили в частности, прогул без уважительной причины, суд счел безосновательными, в результате чего М. Мемарнишвили был восстановлен на работу и ему возмещен простой за 3 месяца в сумме 255 рублей. Следует отметить, что решение суда утвердила и касационная комиссия.

Приказываю:

I. Принять к сведению, что: а) за незаконное освобождение с работы учителя средней школы № 2 г. Сухуми В. Кашия Министерство просвещения Абхазской АССР указало заведующему отделом народного образования г. Сухуми тов. М. Малишава, а инспектора отдела народного образования Ш. Киладзе освободило с занимаемой должности; б) заведующий Ленинским районным отделом народного образования г. Тбилиси Р. Гургенидзе освобожден от занимаемой должности.

2. Отметить, что заведующая Ахалкалакским районным отделом народного образования тов. А. Габриэлян помимо того,

что незаконно освободила с работы учителя средней школы им. И. Чавчавадзе М. Картвелишвили, нанесла материальный ущерб бюджету отдела народного образования, из которого для возмещения простоя было выдано 610 рублей.

Предупредить тов. А. Габриэлян, что в дальнейшем в случае допущения отделом народного образования подобного действия, возмещение нанесенного ущерба будет возложено лично на нее.

3. О нарушениях, допущенных профсоюзными организациями при освобождении работников народного образования по инициативе администрации, сообщить Республиканскому комитету профсоюза работников просвещения и просить его дать профсоюзным организациям соответствующие указания по искоренению в дальнейшем подобных нарушений.

4. Отметить, что Министерство просвещения Грузинской ССР четырежды обращалось с напоминанием к заведующему отделом народного образования г. Батуми (тов. З. Комахидзе) по поводу справок о причинах незаконного освобождения В. Кобахидзе и Ф. Надареишвили.

Об отмеченном сообщить Министру просвещения Аджарской АССР тов. В. Цулукидзе.

5. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, начальнику Управления народного образования г. Тбилиси внимательно оформлять все документы по вопросам освобождения работников по инициативе администрации и не допускать случаев нарушения в этом деле.

6. Управлению кадров (тов. А. Вачнадзе) и Главному юрисконсульту (тов. В. Кешелава) установить строгий контроль за правильностью оформления документации, связанной с освобождением работников по инициативе администрации.

Основание: решение коллегии Министерства просвещения ГССР от 14 марта 1985 года.

Министр О. Д. Кинкладзе

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება

### სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VII—VIII კლასებში ა. ვ. პოგორელოვის „გეომეტრია VI—X"-ით სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, განიხილა რა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ბრიგადის მიერ 1984 წლის 10 დეკემბრიდან 21 დეკემბრამდე ქ.თბილისის, აჭარის ასსრ, მახარაძისა და თელავის რაიონების სკოლების VII—VIII კლასებში ა. ვ. პოგორელოვის „გეომეტრია VI—X"-ით სწავლების მდგომარეობისა და გეომეტრიაში ამ კლასებში მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმების შედეგები, აღნიშნავს, რომ ცნობაში დადებითად არის შეფასებული რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გეომეტრიის ახალი დამხმარე სახელმძღვანელოთი სწავლების დასანერგად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტისა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გაწეული მუშაობა, განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ დროულადაა განხილული საკითხი ა. ვ. პოგორელოვის „გეომეტრია VI—X"-ით სწავლებაზე გადასვლის შესახებ".

კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე გეომეტრიის ახალი დამხმარე სახელმძღვანელოთი მუშაობისათვის 1982 წელს გადამზადდა 2400 მასწავლებელი, მათგან მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში — 436, ამავე ინსტიტუტში 1983 და 1984 წლებში გადამზადდა შესაბამისად 287 და 272 მასწავლებელი.

1982—1984 წლებში ქ. ქ. თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში ჩატარდა თათბირ-სემინარები, სადაც განხილულ იქნა გეომეტრიის ახალი დამხმარე სახელმძღვანელოთი სწავლების ზოგიერთი საკითხი, ამ სახელმძღვანელოთი სწავლების საკითხებზე ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე რაიონულ და სასკოლო მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე, სადაც რეკომენდებულ იქნა კურსის უფრო რთული საკითხების სწავლების ხერხები და მეთოდები, სათანადო ადგილი დაეთმო მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარებას.

1984 წლის თებერვალში ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარდა კონფერენცია თემაზე „მათემატიკის სწავლების აქტუალური საკითხები",

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც მთავარი ყურადღება მიექცა გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლების საკითხებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის, პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილებებისა და მეთოდური კაბინეტების სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ არის რესპუბლიკის სკოლებში გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლების დანერგვის საქმე, პერიოდულად მოწმდებოდა ამ საკითხის თაობაზე კოლეგიის 1982 წლის 17 ივნისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა, თავის დროზე ითარგმნა და სკოლებს დაეგზავნა ა. ვ. პოგორელოვის „გეომეტრია VI—X“ სახელმძღვანელო.

ცნობაში ვრცელი ანალიზი აქვს გაკეთებული ბრიგადის მიერ შემოწმებული სკოლების VII და VIII კლასებში გეომეტრიაში ჩატარებული საკონტროლო წერისა და მოსწავლეთა ზეპირი გამოკითხვის შედეგებს. საკონტროლო წერაზე ქართული და რუსული სკოლების 2490 მეშვიდეკლასელი მონაწილეობდა, რომელთა ნამუშევრების 87% დადებითად შეფასდა, მათგან „4“-ზე და „5“-ზე შეფასდა 34%, ხოლო რუსული სკოლების VIII კლასების 845 მოსწავლის საკონტროლო წერითი ნამუშევრებიდან დადებითად შეფასდა 89%.

ამასთან ერთად ცნობაში აღნიშნულია, რომ „გეომეტრია VI—X“, ძირითადად, კარგად არის ნათარგმნი, მაგრამ მასში ადგილი აქვს ტერმინოლოგიურ, სტილისტიკურ, გრამატიკულ შეცდომებს და უზუსტობას, ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს ტექსტის აზრობრივ დამახინჯებასაც, რაც სახელმძღვანელოს უახლოეს გამოცემაში საჭირო შესწორებათა შეტანას მოითხოვს.

როგორც საკონტროლო წერითი ნამუშევრების ანალიზის, ისე ზეპირი გამოკითხვის შედეგების შეჯამებისას ვლინდება მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის დაბალი მომზადება საპროგრამო მასალის რიგ საკითხებში: სათანადოდ არ აქვთ გამომუშავებული გამოთვლითი ჩვევები, ერთმანეთში ურევენ ტოლფერდა სამკუთხედის მედიანას და სიმაღლეს, სუსტად იციან უმარტივესი კუთხეების ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა მნიშვნელობანი, უჭირთ კოსინუსების და სინუსების თეორემების გამოყენება სამკუთხედების გვერდების ან კუთხეების გამოანგარიშებისას. ზეპირი გამოკითხვის დროს აღნიშნულ საკითხებზე მოსწავლეთა 51%-მა ვერ გასცა დადებითი პასუხი, სუსტად იციან ვექტორებს შორის კუთხის კოსინუსის პოვნა, საერთოდ არამყარი ცოდნა გამოავლინეს თემის „ვექტორების“ ირგვლივ, კარგად ვერ ფლობენ ამოცანების ამოხსნას ვექტორების გამოყენებით, ეს განსაკუთრებით შეინიშნება სოფლის სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრებში, საკონტროლო წერის შედეგად VIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასებში დაბალი მომზადება გამოავლინეს მახარაძის რაიონის და აჭარის ასსრ სოფლების სკოლების მოსწავლეებმა, ხოლო VII კლასებში — ქ. ბათუმისა და აჭარის ასსრ სოფლების სკოლების მოსწავლეებმა, მასწავლებლები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას.

მოსწავლეთა მომზადების საქმეში გამოვლენილი ნაკლოვანებების ძირითადი მიზეზია გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლებისათვის მასწავლებელთა ერთი ნაწილის არასაკმაო კვალიფიკაცია და მეთოდური დახელოვნების დაბალი დონე. ჯერ კიდევ მოწოდების სიმაღლეზე არ დგას მასწავლებელთა მომარაგება საჭირო მეთოდური და დამხმარე ლიტერატურით, გაუმჯობესებას მოითხოვს მასწავლებელთა გადამზადებისა და დახელოვნების საქმე, მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა):

1. 1. მასწავლებელთა გადამზადებისა და ტელეგადაცემების თემატიკაში სათანადო ადგილი დაუთმოს ა. ვ. პოგორელოვის „გეომეტრია VI—X“ სახელმძღვანელოდან შედარებით რთული საკითხების სწავლების ხერხების და მეთოდების გაშუქებას. ამასთან, განსკუთრებული ყურადღება მიაქციოს ვექტორების გამოყენების ამოცანების ამოხსნას;

1. 2. გადასინჯოს მასწავლებელთა გადამზადების მასშტაბების გაზრდის შესაძლებლობანი, ცენტრალური და დაქვემდებარებული ინსტიტუტების მეშვეობით მიაღწიოს მას, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VI—VIII კლასებში გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი მომუშავე ყველა მასწავლებელმა აუცილებლად გაიაროს გადამზადება;

1. 3. გაზარდოს მასწავლებელთა ცენტრალური ინსტიტუტის მიერ გეომეტრიის ახალი სახელმძღვანელოთი სწავლებისათვის მომზადებული რეკომენდაციების გამოცემის ტირაჟი;

Многообразна и содержательна тематика работы клубов. Так, в дискуссионном клубе обсуждались такие вопросы, как: «Роль и место семьи в жизни социалистического государства», «Морально—психологический климат семьи; из каких факторов он слагается?», «Как воспитать в детях трудолюбие? Семейные традиции», и т. д; в общественно—политическом клубе: «Современная международная обстановка и проблема борьбы за мир», «Два мира — две идеологии», «Политика и искусство, «Что значит быть интернационалистом» и многое другое; в клубе молодой семьи: «Внутрисемейные отношения и их проблемы», «Когда и как праздник приходит в дом, «Этика счастья», «Культура досуга» и др.

В практике деятельности клубов—встречи с интересными людьми: учеными, врачами, педагогами, передовиками труда, писателями, композиторами и др., организация массовых мероприятий. Нередко встречи в клубе проходят на базе промышленых предприятий, учреждений, что позволяет привлечь к работе клуба широкий круг родительской общественности.

Большим авторитетом в районе пользуется клуб фронтовых друзей. Члены клуба организовали встречу у партизанского костра с молодежью района, встречу ветеранов войны с молодежью допризывного возраста, провели вечер «Музыка и стихи военных лет» с участием школьников и воспитанников ПТУ, конференцию «Патриотизм советского народа—главное условие нашей победы в Великой Отечественной войне». Главную задачу видит клуб в пропаганде среди родителей роли и значения семьи в формировании у подрастающего поколения патриотических чувств и убеждений, приобщения школьников к героическому прошлому советского народа.

Заслуживает одобрения деятельность клуба под условным названием «Как тебе служится, сынок?». Клуб объединяет родителей, чьи дети призваны в ряды Советской Армии, или будут призваны в ближайшие годы. В клубе ведутся беседы о том, как готовили родители своих сыновей к службе в Армии, обсуждаются вопросы, которые волнуют семьи, проводятся встречи с демобилизованными воинами, с представителями воинских частей, ветеранами Великой Отечественной войны и т. д.

Примечательна деятельность клуба «Эстетика быта». «Эстетика семейного быта — из чего она складывается? В чем искусство ведения домашнего хозяйства? Кухня — наш друг или враг? В чем искусство кулинарии? — на эти и ряд других вопросов родители получают не только квалифицированные ответы от приглашенных специалистов, но и имеют возможность приобрести некоторые практические навыки, обменяться опытом — занятия клуба нередко проводятся на базе ресторана «Гареджи», Дома мебели, производственного объединения по выпуску бельевого трикотажа и т. д.

Большую пропагандистскую и оздоровительную работу среди родителей проводит клуб «Здоровье», девиз которого: «Все члены клуба — спортсмены или болельщики». В практике работы клуба беседы и лекции о значении физкультуры и спорта в жизни каждого человека и общества; встречи с известными спортсменами, врачами; организация спортивных состязаний, турниров, совместных посещений матчей. Клуб имеет свои филиалы—группы здоровья, которые открылись для родителей в ряде школ района.

Целенаправленная деятельность родительских клубов в

Глданском районе предопределена глубокой заинтересованностью в этом вопросе РК партии, по инициативе и под руководством которого при содействии органов народного образования, и была создана реальная база для организации работы в этом направлении.

Деятельность клубов осуществляется в тесном контакте с работой Комиссии по проблемам семьи при РК. Проблемы семейного воспитания, повышение персональной ответственности родителей — предмет постоянного внимания бюро, райкома партии, его руководства.

Деятельность родительских клубов в Глданском районе, как и родительского общества в Калининском районе в комплексе с родительскими Университетами педагогических знаний, родительскими лекториями, действующими в школах, активно содействовала совершенствованию системы работы с родителями, что позволило действеннее решать на местах актуальные задачи коммунистического воспитания подрастающего поколения.

**Управление воспитательной работы**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება

### გარდაბნის რაიონის ახალი სოფლისა და ვარკეთილის საშუალო სკოლების მოსწავლეთა მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ

მიმდინარე წლის 17 თებერვალს გარდაბნის რაიონის სოფელ ახალი სოფლის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა ზ. ლაშხირიძემ და მ. კახაბრიშვილმა წინასწარი განზრახვით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მოქალაქის კუთვნილ აგარაკზე გატეხეს ბინა, მოიპარეს საოჯახო ჭურჭელი და ფერადი ტელევიზორი.

როგორც მომხდარი ფაქტის შესწავლით გაირკვა, არასრულწლოვანებმა დანაშაული ჩაიდინეს უფროსების წაქეზებით, ამასთან არაფხიზელ მდგომარეობაში (ალკოჰოლური სასმელი მიიღეს იმავე უფროსებისაგან).

ორივე მოსწავლე იზრდება არაკეთილსაიმედო ოჯახში. ზ. ლაშხირიძის მამა ფსიქიკური ავადმყოფია, ხოლო მ. კახაბრიშვილის მშობლები ლოთები არიან. ზ. ლაშხირიძე ადრეც იყო შემჩნეული სასკოლო დისციპლინის დარღვევასა და დანაშაულისაკენ მიდრეკილებაში, რისთვისაც იგი სკოლაში აყვანილი იქნა აღრიცხვაზე, როგორც ძნელადაღსაზრდელი.

დანაშაულის მონაწილე მოსწავლე ზ. ლაშხირიძეს პირველი სემესტრის განმავლობაში საკლასო ჟურნალში რიგ საგანში საერთოდ არ უწერია მიმდინარე ნიშნები, სემესტრის ბოლოს კი ამავე საგნებში არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვს. ზ. ლაშხირიძეს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი აქვს 231 საათი, ხოლო მ. კახაბრიშვილს — 69. აღნიშნული მოსწავლეები ხშირად არღვევდნენ სასკოლო დისციპლინას, ჩამორჩებოდნენ სწავლაში, ხშირად ერთად აცდენდნენ გაკვეთილებს, ურთიერთობა ქონდათ საეჭვო სრულწლოვან პირებთან. ყველაფერი ეს ხდებოდა სკოლის პედაგოგების, თანაკლასელების თვალწინ. მათ კი არაფერი იღონეს იმისათვის, რომ მოზარდები მრუდე გზისათვის ჩამოეცილებინათ.

აღნიშნული და სხვა მოსწავლეების მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის შემთხვევებზე სკოლაში, როგორც წესი, არ იმართებოდა მკაცრი და პრინციპული მსჯელობა, მომხდარ ფაქტებს არ ეძლეოდა მკაცრი შეფასება, რითაც სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი უგულებელყოფდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1980 წლის 12 მარტის № 207 ბრძანებისა და კოლეგიის 1983 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების მოთხოვნებს.

დირექციის (დირექტორი ა. ამონაშვილი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ლ. გუგუნაშვილი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორი ლ. სუხიტაშვილი) და პედაგოგიური კოლექტივის უსისტემო, მოუქნელი მუშაობის, საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულების გამო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ფაქტიურად ჩაშლილია. ფორმალურადაა შექმნილი მშობელთა კომიტეტი, მამათა საბჭო, რომლის წევრებს შორის დღემდე ფუნქციებიც კი არ არის განაწილებული. სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების, მოსწავლეთა კომიტეტის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით, თითქმის, არ ტარდება აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები. სკოლაში წლიდან წლამდე აუთვისებელი რჩება საყოველთაო-სავალდებულო განათლებისათვის გამოყოფილი ფულადი ფონდი, მაშინ როდესაც მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი საჭიროებს სკოლისაგან ეკონომიურ დახმარებას. ამ საქმეში სკოლა თითქმის არავითარ დახმარებას არ ღებულობს მშობელთა კომიტეტისაგან.

აღნიშნული ნაკლოვანებანი გამოწვეულია სკოლის დირექციის, პედაგოგიური კოლექტივის, უწინარეს ყოვლისა კი, დირექტორის ა. ამონაშვილის, ძალზე სუსტი მუშაობით.

სკოლაში სასკოლო პიონერული და კომკავშირული მუშაობაც ფაქტიურად ჩაშლილია. უფროსი პიონერხელმძღვანელი მ. ამონაშვილი თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას, ვერ ერკვევა მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებში და არც ცდილობს აიმაღლოს თავისი იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული მომზადების დონე.

ახალი სოფლის საშუალო სკოლაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ არაერთხელ იმსჯელეს საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის ბიურომ და სახალხო განათლების საბჭომ. სკოლის დირექტორს რამდენჯერმე გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, მაგრამ აღნიშნულმა ღონისძიებებმა სკოლის მუშაობაზე დადებითი გავლენა ვერ მოახდინეს. სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, თითქმის, არ ხდება მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის საკითხების განხილვა, არ ისახება ღონისძიებები მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ბექაურმა და ჩაჩხაშვილმა 1985 წლის 12 მარტს წინასწარი განზრახვით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, გატეხეს ტყავის საამქრო, საიდანაც მოიპარეს ერთი ტყავის ლაბადა და ერთი ტყავის ქურთუკი.

ორივე მოსწავლე არაკეთილსაიმედო ოჯახში იზრდება. ჩაჩხაშვილის ორივე მშობელი ტუბერკულოზით არის დაავადებული. ამავე დროს მამა ლოთიცაა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლე ბექაური მიმდინარე სასწავლო წელს ჩაირიცხა თბილი-სის ი. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, მაგრამ იმის გა-მო, რომ სასწავლებლიდან ტერიტორიულად ძალზე შორს ცხოვრობდა და ამიტომ ხშირად აცდენდა გაკვეთილებს, იძულებული გახდა ორი თვის შემდეგ უკან სკოლაში დაბრუნებულიყო.

მოსწავლე ჩაჩხაშვილი ჩაირიცხა პროფტექნიკურ სასწავლებელში, მაგრამ ისიც მალე სკოლას დაუბრუნდა. ჩაჩხაშვილი ძალზე ხელმოკლე ოჯახში იზრდება., სკოლის ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა ეს გარემოება და საყოველთაო განათლების ფონდიდან მას არავითარი დახმარება არ გაუწია.

მომხდარ დანაშაულში ინიციატივა მოსწავლე ბექაურმა გამოიჩინა. ჩაჩხაშვილი, თავისი სუსტი ბუნების გამო, დაჰყვა მის ინიციატივას და დანაშაულში ჩათრეული აღმოჩნდა.

ვარკეთილის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და დირექციის საქმიანობაში შეინიშნება რიგი ნაკლოვანებებისა: დაბალ დონეზე დგას მშობელთა პედაგოგიზაციის მიზნით გაწეული მუშაობა, არადამაკმაყოფილებელია მუშაობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენ-ტაციის მიმართებით, სათანადოდ არ არის გამოყენებული მშობელთა კომიტეტის, სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების შესაძლებლობები, სუსტია მუშაობა მოსწავლეთა შორის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის კუთხით.

აღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ სკოლის დი-რექცია და პედაგოგიური კოლექტივი ჯერ კიდევ ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო დო-ნეზე დაყენებისათვის.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაევალოს გარდაბნის რაიონის ახალი სოფლის და ვარკეთილის საშუალო სკოლების დირექციებს და პედაგოგიურ კოლექტივებს:

1. 1. გადაჭრით გააუმჯობესონ სკოლაში მოსწავლეთა სამრთლებ-რივი აღზრდის და მათ შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მიზნით გაწეული მუშაობის ხარისხი. ამ საქმეში უფრო აქტიური და შე-დეგიანი გახადონ სკოლებში შექმნილი პოფილაქტიკის კომისიების საქ-მიანობა, მშობელთა კომიტეტების, მამათა საბჭოების მუშაობა;

1. 2. სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების, მოსწავლეთა და მშობელთა კომიტეტების, მამათა საბჭოების მეშვეობით გაატარონ რადიკალური ღონისძიებები იმისათვის, რომ სკოლებში დანა-შაულისაკენ მიდრეკილების მქონე და შინასასკოლო დისციპლინის დამ-რღვევი ყოველი მოსწავლე აყვანილ იქნას მკაცრ კონტროლზე. უფრო სრულყოფილი და მოქნილი გახადონ ასეთ მოზარდებთან მუშაობა. შე-ქმნან სკოლაში შეურიგებლობისა და შეუწყნარებლობის ატმოსფერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა მიერ დანაშაულის ჩადენის, სასკოლო დისციპლინის დარ-ღვევის ნებისმიერი გამოვლინებისადმი;

1. 3. მეტი ყურადღებითა და დაინტერესებით მოეკიდნონ მოსწავლეთა სწავლისაგან თავისუფალი დროის სწორი და შინაარსიანი ორგანიზაციის საქმეს. იზრუნონ სკოლებში გამოსაშვები და უქმე დღეების კლუბების შესაქმნელად მოზარდთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გათვალისწინებით. ამ მიმართებით უფრო ფართოდ და შემოქმედებითად გამოიყენონ სოფლის კულტურის, სპორტული, ჯანმრთელობის კერების შესაძლებლობები. უფრო აქტიურად მიიზიდონ ამ საქმეში სპორტსმენები, კულტურის მუშაკები, რაიონის მოწინავე ადამიანები, შრომისა და სამამულო ომის ვეტერანები, პენსიონერები და სხვ.;

1. 4. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ არაკეთილსაიმედო ოჯახების გამოვლინებას და მათთან მუშაობას. მეტი გულისხმიერებით და მზრუნველობით მიუდგნენ ამ ოჯახებში აღზრდილ მოზარდებს. გაატარონ საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი მათთვის ნორმალური საყოფაცხოვრებო, სასწავლო და დასვენების პირობების შექმნისათვის. საჭიროების შემთხვევაში იზრუნონ ასეთი მოზარდების ინტერნატული ტიპის დაწესებულებებში მოსაწყობად;

1. 5. პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, საწარმოო თათბირებზე სისტემატურად განიხილონ სკოლაში მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მისი გაუმჯობესებისათვის, დააწესონ სისტემატური კონტროლი მათ განხორციელებაზე.

2. გარდაბნის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ზ. ზაქარეიშვილი) იმის გათვალისწინებით, რომ რაიონში უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა მოსწავლე ახალგაზრდობის მხრივ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევები:

2. 1. ძირეულად გარდაქმნას არასრულწლოვანთა მხრიდან სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის მიზნით გაწეული მუშაობა. ამ საქმეში ფართოდ მიიზიდოს სამართალდამცველი ორგანოების, წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები;

2. 2. უფრო შემოქმედებითი და აქტიური გახადოს რაიონში არსებული სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების საქმიანობა მოსწავლეთა თავისუფალი დროის გონივრული ორგანიზაციის საქმეში. უზრუნველყოს მათ ბაზებზე საინტერესო და შინაარსიანი მასობრივი ღონისძიებების ჩატარება. მათი მეშვეობით და მათთან ერთად უფრო საქმიანი და შინაარსიანი გახადოს მუშაობა მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 3. მკაცრი კონტროლი დააწესოს სკოლების მიერ საყოველთაო სახალხო განათლების კანონის ცხოვრებაში მტკიცედ და განუხრელად გატარებაზე. არ დაუშვას სკოლიდან მოსწავლეთა განთესვის, სკოლების მიერ საყოველთაო სწავლებისათვის გამოყოფილი ფულადი ფონდების აუთვისებლობის შემთხვევები;

2. 4. სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად განიხილოს სკოლებში მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის საკითხები და დასახოს ქმედითი ღონისძიებები მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ახალი სოფლის საშუალო სკოლის დირექტორი ა. ამონაშვილი პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

4. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი სოფლის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ლ. ლუღუნაშვილს და კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორს ლ. სუხიტაშვილს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, რჩევა მიეცეს გარდაბნის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას სასწავლო წლის ბოლოს განიხილოს აღნიშნული მუშაკებისა და აგრეთვე სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელის მ. ამონაშვილის დაკავებულ თანამდებობაზე შემდგომი დატოვების საკითხი.

5. რაიონის სკოლების მუშაობისადმი კონტროლისა და მათ მიმართ მეთოდურ-პრაქტიკული დახმარების, აგრეთვე განათლების განყოფილების აპარატის მუშაკთა მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი მოთხოვნილების შესუსტებისათვის გარდაბნის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ზ. ზაქარეიშვილს მიეთითოს.

6. აღნიშნული გადაწყვეტილება დამუშავდეს გარდაბნის რაიონის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი ცხოვრებაში მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

7. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 28 მარტის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### 1984—1985 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1985—1986 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში 1984—1985 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1985—1986 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების უზრუნველყოფის მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს 1984—1985 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1985—1986 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ უზრუნველყონ აღნიშნული გეგმის დაქვემდებარებულ დაწესებულებებამდე დაყვანა, გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი გეგმით გათვალისწინებული საკითხების განუხრელად განხორციელებისათვის.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ აღნიშნული გეგმა შეთანხმებულია დაინტერესებულ უწყება-ორგანიზაციებთან.

4. კონტროლი აღნიშნული გეგმის შესრულებაზე დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

5. აღნიშნული კოლეგიის გადაწყვეტილება და გეგმა გამოქვეყნდეს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრის პირველი მოადგილე მ. კობახიძე**

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1984—1985 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და ახალი 1985—1986 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების •
## გ ე გ მ ა

| № | შესასრულებელი საკითხები | შესრულების ვადა | პასუხისმგებელი შესრულებაზე |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| | **I. 1984—1985 სასწავლო წლის დამთავრების ორგანიზება** | | |
| 1 | საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების შესახებ ინსტრუქციის მომზადება, დამტკიცება და ადგილებზე დაყვანა | აპრილი | სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |
| 2 | VIII-X(XI) კლასების საგამოცდო ბილეთების მომზადება ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, მათი გამოცემა. | აპრილი | სკოლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო |
| 3 | რესპუბლიკის სპეციალური სკოლებისა და სკოლა-ინტერნატებისათვის საგამოცდო ბილეთების მომზადება, გამოცემა და ადგილებზე დაყვანა. | აპრილი | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, სახელმძღვანელოების სამმართველო |
| 4 | რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების დამამთავრებელი და გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადების მიმდინარეობის შემოწმება. | აპრილი, მაისი | სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 5 | წერითი გამოცდებისათვის საჭირო ქაღალდით სკოლების უზრუნველყოფა. | აპრილი, მაისი | სკოლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო |
| 6 | საგამოცდო თემების შედგენა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, ამოცანებისა და მაგალითების ვარიანტების შერჩევა მათემატიკაში, საგამოცდო დავალებების რადიოთი და ტელევიზიით ორგანიზება | აპრილი, მაისი | სკოლების სამმართველო, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი |
| 7 | საშუალო განათლების ატესტატებისა და რვა კლასის დამთავრების მოწმობების დაკვეთა და შემოზიდვა, ქების სიგელების, საგამოცდო ოქმების, ავტომძღოლის, ტრაქტორის მართვისა და მანქანაზე ბეჭდვის მოწმობების დაბეჭდვა და გაცემა მოთხოვნის მიხედვით | აპრილი, მაისი | სკოლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო |
| 8 | სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შუქზე სასკოლო დოკუმენტაციის ნიმუშების დადგენა, მათში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, საჭირო რაოდენობის განსაზღვრა, დაბეჭდვა და გაცემა მოთხოვნის მიხედვით | აპრილი | სკოლების სამმართველო |
| 9 | კონტროლის დაწესება გამოცდების მიმდინარეობაზე, სამინისტროს წარმომადგენლების მივლინება | მაისი, ივნისი | სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 10 | ოქროს მედლის კანდიდატთა საგამოცდო წერითი ნამუშევრების გადამმოწმებელი კომისიების შექმნა, მათი მუშაობის ორგანიზება და შედეგების განხილვა | მაისი, ივნისი | სკოლების სამმართველო |
| 11 | რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელებისათვის საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზება | მაისი, ივნისი, ივლისი | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |
| 12 | სასკოლო რეფორმასთან დაკავშირებით შრომითი სწავლების ამაღლების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების უზრუნველყოფა სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და შრომითი სწავლების იარაღებით. | მარტიდან სექტემბრამდე | სკოლების სამმართველო, სკოლამდელი აღზრდის სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო |
| 13 | სასწავლო წლის დამთავრებისადმი მიძღვნილი სპეციალური ტელე და რადიო გადაცემების ორგანიზება, სტატიების რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნება | მაისი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებთან ერთად |
| 14 | „უკანასკნელი ზარის“, სკოლაში და სკოლა-ინტერნატებში გამოსაშვები საღამოების, დილების ჩატარება. შეფი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობით | მაისი, ივნისი | სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 15 | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების კურსდამთავრებულებზე ოქროს მედლების საზეიმოდ გადაცემა | ივნისი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო |
| 16 | ინტერნატულ დაწესებულებებთან მოქმედი პროფტექნიკური ჯგუფების პირველი გამოშვების ორგანიზაცია და მათი სამუშაოდ მოწყობა | ივნისი | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |
| 17 | მე-3 შრომითი სემესტრის მონაწილეთა ტრადიციული შეკრების ჩატარება თემაზე: „ჩემი შორმა ერწყმის რესპუბლიკის შრომას“ | ივნისი | აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილებები, |
| | **II. მზადება ახალი სასწავლო წლისათვის** | | |
| 1 | 1985 წლის გეგმით გათვალისწინებული სასწავლო და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის მიმდინარეობის შემოწმება და მათი დროულად ჩაბარების უზრუნველყოფა | 10 აგვისტომდე | სკოლების სამმართველო, კაპიტალური მშენებლობის განყოფილება, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების სამმართველო ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო |
| 2 | მშენებარე ობიექტების უზრუნველყოფა საჭირო სახისა და რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარით, ავეჯით, სასწავლო მოწყობილობით, სწავლების ტექნიკური საშუალებებით | 10 აგვისტომდე | მომარაგების მთავარი სამმართველო |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 3 | ინტერნატულ დაწესებულებებში 1985 წლის გეგმით გათვალისწინებული სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობის შემოწმება და მათი დროული ჩაბარების უზრუნველყოფა | ივლისი, აგვისტო | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, კაპიტალური მშენებლობის განყოფილება |
| 4 | საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების შესაბამისად ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთის მშენებარე საბავშვო სახლის უზრუნველყოფა აუცილებელი ინვენტარ-მოწყობილობებით, სასწავლო ნივთებითა და ტექნიკური საშუალებებით | აგვისტო | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო |
| 5 | ინტერნატულ დაწესებულებებთან მოქმედი პროფტექნიკური ჯგუფების პირველი გამოშვების ორგანიზაცია და მათი სამსახურებრივი მოწყობა | ივნისი | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |
| 6 | რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებებში მწარმოებლური შრომითი საქმიანობის გაშლა სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად | ივლისი, აგვისტო | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |
| 7 | ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებთან არსებული დამხმარე მეურნეობების ქსელის გაფართოება სკოლის რეფორმის ძირთადი მიმართულებების შუქზე | აგვისტო | „——" |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 8 | ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების დაკომპლექტება პედაგოგ-აღმზრდელთა კადრებით | ივლისი, აგვისტო | სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო კადრების სამმართველოსთან ერთად |
| 9 | სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების 1985—1986 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შემოწმება | 10 სექტემბრამდე | სკოლების სამმართველო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები, ქ. თბილისის განათლების სამმართველო |
| 10 | სკოლამდელი დაწესებულებების უზრუნველყოფა მეთოდური ლიტერატურითა და რეკომენდაციებით | 20 აგვისტო | სკოლამდელი აღზრდის სამმართველო |
| 11 | ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობისა და მზადყოფნის შემოწმება | ივნისი, აგვისტო | სკოლების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო |
| 12 | საშუალო განათლების არმქონე მომუშავე ახალგაზრდების აღრიცხვა და სწავლებაში ჩაბმის უზრუნველყოფა | მაისი, აგვისტო | საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო |
| 13 | საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების რეორგანიზაცია-რაციონალიზაცია | აგვისტო, სექტემბერი | საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 2 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 14 | ახალი სასწავლო წლისათვის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მზადების მიმდინარეობისა და მზადყოფნის შემოწმება | ივნისი, აგვისტო | საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო |
| 15 | საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების უზრუნველყოფა სასწავლო გეგმებით, პროგრამებითა და სხვა საჭირო მასალებით | აგვისტო | საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო |
| 16 | საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დათვალიერების ჩატარება | აპრილი | საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო |
| 17 | რესპუბლიკური მეთოდური კონფერენციის ჩატარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილისა და სასკოლო ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სრულყოფის საკითხებზე | ოქტომბერი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო, დაწყებითი სამხედრო მომზადების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და რესპუბლიკურ სპორტკომიტეტთან ერთად |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 18 | ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების დირექტორებისა და მწვრთნელ-მასწავლებელთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარება | აგვისტო | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველო, დაწყებითი სამხედრო მომზადების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტი |
| 19 | 1985—1986 სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტებთან და პედაგოგიურ ინსტიტუტებთან ერთად რესპუბლიკის სკოლებში ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოდ განაწილება | მარტი, ივნისი | კადრების სამმართველო |
| 20 | რესპუბლიკაში საშუალო განათლების მქონე მასწავლებელთა და აღმზრდელთა სიების დაზუსტება და მათი პედაგოგიური ინსტიტუტების საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე სწავლებაში ჩაბმის ორგანიზება | მარტი, ივნისი | კადრების სამმართველო |
| 21 | კონკურსგარეშე და მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩასარიცხად სპეციალობების მიხედვით განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად კანდიდატურების შერჩევა, მათი პედაგოგიურ ინსტიტუტებში მივლინება | ივნისი, ივლისი | კადრების სამმართველო |
| 22 | მოკავშირე რესპუბლიკების გარეთ პედაგოგიურ ინსტიტუტებში კოოპერირების წესით მასწავლებელთა კადრების მომზადების ორგანიზება, მიზნობრივი კონტინგენტის განსაზღვრა, კანდიდატურების შერჩევა-მივლინება | ივნისი, ივლისი | კადრების სამმართველო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 23 | სოფლის მასწავლებელთა, მათ შორის ახალგაზრდა სპეციალისტთა, შრომის, საყოფაცხოვრებო პირობებისა და მათზე კანონით გათვალისწინებული შეღავათების მდგომარეობის შესწავლა | ივლისი | კადრების სამმართველო |
| 24 | მე-2 კლასში მომუშავე მასწავლებელთა და დაწყებითი კლასების მეთოდისტთა კვალიფიკაციის ამაღლება (3787 კაცი) | ივნისი, ივლისი (ერთკვირიანი) | კადრების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი |
| 25 | 1-ლ კლასში მომუშავე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება | მაისი (ორკვირიანი) | კადრების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი |
| 26 | მე-8 კლასში მომუშავე გეომეტრიის მასწავლებელთა კვალიფიკაციის (2400 კაცი) ამაღლება | სექტემბერი (ორკვირიანი) | კადრების სამმართველო, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი |
| 27 | რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების IX კლასებში ახალი საგნის „ინფორმატიკის საფუძვლებისა და ელექტრონულ-გამოთვლით ტექნიკის“ კურსის სწავლების შემოღება, ამ საკითხებზე კოლეგიის გადაწყვეტილების პროექტის მომზადება | მარტი, აპრილი | სკოლების სამმართველო |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 28 | რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროს კლასებში „საოჯახო ცხოვრების ეთიკისა და ფსიქოლოგიის“ კურსის სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით სათანადო ღონისძიებების გატარება | აპრილი, მაისი, ივნისი | სკოლების სამმართველო |
| 29 | შრომის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მე-11 ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ორგანოებსა და დაწესებულებებში სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმება რესპუბლიკის რიგ რაიონსა და ქალაქში | ივლისი | სკოლების სამმართველო, სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები, სოცშეჯიბრის საორგანიზაციო რესპუბლიკური კომისია |
| | **III. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების მომზადება და ჩატარება** | | |
| 1 | დღის წესრიგისა და ძირითადი მომხსენებლების განსაზღვრა, სახალხო განათლების ორგანოებამდე მათი დაყვანა | 20-30 აგვისტო | სკოლების სამმართველო |
| 2 | აგვისტოს თათბირებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების, წინადადებების ანალიზი, მათი რეალიზაციის ღონისძიებათა დასახვა და შედეგების შეჯამება | სექტემბერი, ოქტომბერი | სამინისტროს სამმართველო-განყოფილებები |
| | **IV. სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყება** | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 1 | სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენობების, ეზო-კარმიდამოს, დერეფნებისა და საკლასო ოთახების საზეიმოდ გაფორმება | აგვისტო | სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები |
| 2 | ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების კინოთეატრებში საბავშვო ახალგაზრდული კინოფილმების ჩვენების ორგანიზაცია | აგვისტო, სექტემბერი | ალკკ საქალაქო და რაიონული კომიტეტები კულტურის განყოფილებებთან ერთად, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები |
| 3 | „ცოდნის დღის" 1-ლი სექტემბრის საზეიმო ვითარებაში აღნიშვნა, სკოლებში პირველი გაკვეთილის „მშვიდობის გაკვეთილის" ჩატარება | სექტემბერი | აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები |
| 4 | ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისა და მშრომელთა გაერთიანებული კრებების ჩატარება თემაზე: „მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" | სექტემბერი, ოქტომბერი | განათლების ადგილობრივი ორგანოები, კომკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტები პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოების, კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობით |
| | **V. ახალი სასწავლო წლის დაწყების შედეგების შეჯამება** | სექტემბერი, ოქტომბერი | სკოლების სამმართველო, სამინისტროს სხვა სამმართველო-განყოფილებებთან ერთად |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1984 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ 1984 წლის ხარჯების საერთო თანხა, დამტკიცებული და დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით 21463,0 ათას მანეთს შეადგენს. მათ შორის კაპიტალურ რემონტზე — 2070,0 ათას მანეთს. მიღებულია ფინანსირება 21369,0 ათასი მანეთი, მათ შორის კაპიტალურ რემონტზე 2070,0 ათასი მანეთი. საკასო ხარჯებმა შეადგინა 21210,0 ათასი მანეთი. აუთვისებელი დარჩა და 31 დეკემბერს სახბანკის მიერ დახურულ იქნა 159,0 ათასი მანეთი, აქედან კაპიტალურ რემონტზე მოდის 93,0 ათასი მანეთი, დარჩენილი 66,0 ათასი მანეთი, ძირითადად, სასწავლო, კვების, რბილი ინვენტარის შეძენისა და სკოლისგარეშე ღონისძიებების ხარჯებზე მოდის. აღნიშნულ მუხლებში თანხების აუთვისებლობა განაპირობა ხელფასებში არსებულმა გადახარჯვამ, რომელიც გამოწვეული იყო სასკოლო რეფორმით გათვალისწინებული ხელფასების მომატების ღონისძიებათა გატარების შედეგად (1984 წლის 1 სექტემბრიდან). განათლების სამინისტროს აღნიშნული ღონისძიების სრულყოფილად გატარებისათვის საჭირო ოდენობის ფინანსირება ხელფასებისათვის არ გამოეყო.

ფაქტიურმა ხარჯებმა 21703,0 ათასი მანეთი შეადგინა, დაფინანსების სიმცირის გამო კაპიტალურ რემონტზე დაუფარავი დარჩა 398,0 ათასი მანეთი, რამაც ამავე დროს კრედიტორული დავალიანების გაზრდა გამოიწვია (კრედიტორული დავალიანების 542,0 ათას მანეთში 398,0 ათასი მანეთი კაპიტალური რემონტის თანხაა). განსაკუთრებით დიდი დავალიანება აქვს ქ. თბილისის № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატს (81,6 ათასი მანეთი), რესპუბლიკურ სასწავლო მეთოდკაბინეტს (57,0 ათასი მანეთი), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მეთოდკაბინეტს (31,0 ათასი მანეთი), ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (60,6 ათასი მანეთი), პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს (43,0 ათასი მანეთი) და ა. შ.

აუთვისებელია 41,0 ათასი მანეთის თანხა აღსაზრდელთა კვებაზე. გეგმით დამტკიცებული იყო 1551,0 ათასი მანეთი, ფაქტიურად დაიხარჯა 1510,0 ათასი მანეთი, რაც აიხსნება საბავშვო ბაგა-ბაღებში და სამტრედიის სპეცსკოლაში კონტინგენტის სიმცირით. ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში გეგმით უნდა გატარებულიყო 259515 ბავშვდღე. ფაქტიურად გატარდა 228915 ბავშვდღე. გარდა ამისა, სავაჭრო ორგანიზაციების მიერ პროდუქტების არასაკმარისი მომარაგების გამო აღსაზრდელთა კვებას გორდისა და ტაშისკარის სანატორიულ სკოლა-ინტერნა-

ტებში თითოეულ კვებადღეზე დააკლდა შესაბამისად 26 და 17 კაპიკი, სამტრედიის სპეცსკოლაში 8 კაპიკი.

დებიტორული დავალიანება გასულ წელთან შედარებით 38,0 ათასი მანეთითაა გადიდებული და 1985 წლის 1 იანვრისათვის 142,0 ათას მანეთს შეადგენს. გაზრდილია დავალიანება რესპუბლიკურ სასწავლო მეთოდკაბინეტში (27,0 ათასი მანეთი), პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში (12,7 ათასი მანეთი), ფიგურული სრიალის სკოლაში (9,5 ათასი მანეთი), მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღში (5,3 ათასი მანეთი), ქ. თბილისის № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატში (4,1 ათასი მანეთი), სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში (9,1 ათასი მანეთი) და ა. შ.

სხვა ფაქტებთან ერთად, აღნიშნული დავალიანების გამომწვევი მიზეზია, აგრეთვე, წლის ბოლოს კრედიტების დაგვიანებით გამოყოფა. დავალიანებათა რეალურობა უმეტესწილად დადასტურებულია ურთიერთშედარების აქტებით და ამოღებული იქნა მიმდინარე წლის I კვარტალში.

საანგარიშო წელიწადში ძირითადი სახსრები 1898,0 ათასი მანეთით უმთავრესად შენობა-ნაგებობათა ხარჯზე გაიზარდა. (უსასყიდლოდ გადმოგვეცა პიონერმუშაკთა რესპუბლიკური სკოლის შენობა 1628,0 ათასი მანეთის ღირებულებით) მასალები შემცირებულია 18,0 ათასი მანეთით.

საანგარიშო წელიწადში გატარებულია დამატებითი ღონისძიებები საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის გაძლიერებისა და ანგარიშგების ხარისხის ამაღლებისათვის.

საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაევალოს რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს:

ა) გაატარონ ქმედითი ღონისძიებები გეგმით გათვალისწინებული სახსრების სრულად ათვისებისათვის;

ბ) გააძლიერონ სოციალისტური საკუთრების დაცვა, აღმოფხვრან უყაირათობა და მისი წარმომშობი მიზეზები;

გ) განახორციელონ ღონისძიებანი შენობა-ნაგებობათა, მაგარი და რბილი ინვენტარის შენახვა-დაცვისათვის, არ დაუშვან მათი ნაადრევი ცვეთა;

დ) არ დაუშვან დაფინანსების გეგმით გაუთვალისწინებელი ღონისძიებების გადახარჯვა, აუცილებლობის შემთხვევაში ხარჯები გასწიონ სამინისტროს ხელმძღვანელობის ნებართვით;

ე) გააძლიერონ საშტატო დისციპლინა, არ დაუშვან სამსახურებრივი შეთავსებები შრომის კანონმდებლობის დარღვევით;



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) მიიღონ ზომები დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების სა-ლიკვიდაციოდ და არ დაუშვან იგი შემდგომში.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველომ (ამხ. თ. ბალაშვილი) მიმდინარე წელს ცალკეული დაწესებულებების დაფინანსებისას გაითვალისწინონ ამ დაწესებულებების ბალანსზე მყოფი მასალების ზეგეგმიური ნაშთი და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანება.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბალანსო კომისიამ დაამტკიცა ცალკეული დაწესებულებების ანგარიშები და გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

4. დამტკიცდეს რესპუბლიკური ბიუჯეტის 1984 წლის ნაკრები ანგარიში.

5. მიღებულ იქნას ცნობად რომ საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით 1985 წლის 1 იანვრიდან რიგი დაწესებულებებისა, მათ შორის გორდისა და ტაშისკარის სანატორიული სკოლა-ინტერნატები ადგილობრივ ბიუჯეტს გადაეცა.

**კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრის**
**პირველი მოადგილე მ. კობახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

გადაწყვეტილება — მომუშავე ახალგაზრდობის სწავლების დარგში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესასრულებლად წყალტუბოს ზონის და საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილებებისა და მოზრდილთა სკოლების მუშაობის შესახებ . . . . . . . . 3

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების სასწავლო სახელოსნოებისა და მომსახურებითი შრომის კაბინეტების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ . 8

ბრძანება № 167—1984 წელს რესპუბლიკაში ადმინისტრაციის ინიციატივით სახალხო განათლების მუშაკთა დათხოვნის კანონიერების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . 16

Приказ № 167 — О результатах проверки законности освобождения с работы работников народного образования республики по инициативе администрации в 1984 году . . . . . . . . . 19

გადაწყვეტილება — სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VII—VIII კლასებში ა. ვ. პოგორელოვის „გეომეტრია VI—X“-ით სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . 22

დადგენილება — ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის ჩატარების შედეგების შესახებ

გადაწყვეტილება — ქ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლაში მომხდარი დანაშაულის შესახებ . . . . . . . . . . . . 38

Решение — Об опыте работы с родителями в Калининском и Глданском районах г. Тбилиси . . . . . . . . . . . 41

გადაწყვეტილება — გარდაბნის რაიონის ახალი სოფლისა და ვარკეთილის საშუალო სკოლების მოსწავლეთა მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის შესახებ . . . . . . . . . . . 50

გადაწყვეტილება — 1984—1985 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და 1985—1986 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების ღონისძიებათა შესახებ 55

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1984 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ . . . . . 67

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 13/V-85 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VII-85 წ.;
ანაწყობის ზომა 6¹/₄×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 4,50

შეკვეთა № 416 უე 11154 ტირაჟი 6000

Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе № 7
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7